**მაია ფირჩხაძე**

**ეპიზოდის ანალიზი კრიტიკული აზროვნების განვითარებაში და სტრატეგია „მოზაიკა 1“**

„ცხოვრება პრობლემების ქონას ნიშნავს, ხოლო მათი გადაჭრა - ინტელექტუალურ ზრდას“, – ამბობდა ცნობილი ფსიქოლოგი ჯ. გილფორდი. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა სტრატეგიის ფლობა კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის ერთ-ერთი ღირსებაა.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანთა უმრავლესობა ერთ ან ორ სტრატეგიას იყენებს, ანუ ადამიანები დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს, რომლებიც, მათი აზრით, მათ მიზნის მიღწევაში დაეხმარება. ასეთი ადამიანი, რომელიც ფლობს კრიტიკული აზროვნების უნარებს, ყოველდღიურად არა მარტო იყენებს პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიებს, არამედ აქვს კიდეც მათი შემეცნების, გააზრების საშუალებები: „რატომ ვმოქმედებ ასე და ამგვარად მოცემულ სიტუაციაში და არა სხვაგვარად?“

სქემატურად ამგვარი სააზროვნო სისტემა დაახლოებით ასე გამოიყურება:




მაგრამ როცა საქმე სკოლას და მოსწავლეს შეეხება, პრობლემა ის არის, რომ ძნელია გაკვეთილის დაგეგმვა მოსწავლის საჭიროებისთვის შესაფერისი რეჟიმით, აღნიშნული სქემის შესაბამისი მეთოდებითა და სტრატეგიებით, რადგან ეს ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ამიტომ პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე მუშაობენ, იყენებენ სტრატეგიათა მთელ წყებას, რომელთა შორისაა კითხვის და წერის სტრატეგიები და მათი, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული ნაწილი – **ეპიზოდის ანალიზი.**

**ზოგადად, ეპიზოდი რომელიმე დასრულებული ნარატივის ნაწყვეტი ან ფრაგმენტია. მთლიანად დამოუკიდებელი და დასრულებული ფორმა ეპიზოდს არ გააჩნია. სხვაგვარად იგი არა ეპიზოდი, არამედ გარკვეული სახის ჩანართი – მოთხრობა ან ნოველა იქნებოდა.** ეპიზოდი – ეს არის რთულის ნაწილი, ის შინაარსობრივად გადაჯაჭვულია ნარატივის სხვა – როგორც წინა, ასევე მომდევნო – ნაწილებთან, ანუ **ეპიზოდის ანალიზი მოტივით დაკავშირებულია ნარატივის მთლიან ქარგასთან.**

აქედან გამომდინარე, **ეპიზოდი შეიძლება იყოს თემატური** (კონკრეტული, სიღრმისეული), **იდეური** (კონკრეტული იდეის განმავითრებელი), **კომპოზიციური** (ცალკეული ელემენტის მიხედვით შერჩეული). ცხადია, ასეთი დაყოფა პირობითია და დაშვებულია მხოლოდ სასწავლო მიზნის შესაბამისად. ყოველივე ზემოთქმულის

მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ეპიზოდის ანალიზი მოითხოვს მთლიანი ნარატივის ანუ ტექსტის კარგ ცოდნას.**

სახელდობრ, რა ნაწილებს მოიცავს ეპიზოდის ანალიზი?
**I. სამუშაოს პირველ ეტაპზე** საჭიროა ეპიზოდის ყურადღებით (და არამხოლოდ ერთხელ) წაკითხვა; მთლიან ტექსტთან ეპიზოდის შინაარსობრივი კავშირების განსაზღვრა და ამ კავშირთა მოტივების მოფიქრება. ეფექტურია კითხვის დროს დამხმარე ჩანაწერების გაკეთებაც შემდეგი სქემის მიხედვით:

| ეპიზოდის პირობითი დასათაურება | |
|---|---|
| **წინა ეპიზოდები და სცენები** | **მომდევნო ეპიზოდები და სცენები** |
| **1 .** | **1.** |
| **2 .** | **2.** |
| **და ა.შ.** | **და ა. შ.** |

ამ სქემის მიხედვით **ტექსტის შესაბამის ადგილებზე კეთდება ჩანაწერები,** შენიშვნები, რომლებიც **ეპიზოდის ანალიზისას** მოსწავლეს მუშაობას გაუადვილებს.

**II. მომდევნო ეტაპზე თავიდან იკითხება ეპიზოდი შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით:**

- დავადგინოთ ეპიზოდის საზღვრები (ადგილი, სივრცე და დრო) და შევურჩიოთ მას სახელწოდება;
- დავახასიათოთ მოვლენა, განვსაზღვროთ ეპიზოდის ძირითადი შინაარსი, მისი მონაწილეები, რა ადგილი უჭირავთ მათ თემაში, რა დატვირთვა ენიჭებათ მათ, ავტორისა და მკითხველის დამოკიდებულება ეპიზოდის მიმართ;
- მივყვეთ ეპიზოდის აგების გეგმას და განვსაზღვროთ მისი მონაწილეების მოტივი, მათი ურთიერთობები, შესაბამისობები და ფინალი;
- გადავხედოთ ეპიზოდის კომპოზიციურ თავისებურებებს, მიკროეპიზოდის შესაძლებლობებს, სიუჟეტს;
- ეპიზოდის სოციალური და ზნეობრივი პრობლემები;
- ეპიზოდის ადგილის ინტერიერს;
- განვსაზღვროთ ეპიზოდის ლოგიკური აზრი, შეკითხვა, პრობლემა, იდეური დატვირთვა;
- განვსაზღვროთ ეპიზოდის წარმოქმნის ემოციური ფონი (მაგ., მინიკონფლიქტი);
- დავადგინოთ ეპიზოდის როლი მოცემულ საკითხში, მისი კავშირი მოვლენის სხვა ნაწილებთან (დასაწყისთან, ფინალთან და სხვ.) და მისი ადგილი თემის საერთო გააზრებაში.

ეპიზოდის ანალიზი საკითხის ისეთი განხილვაა, რომელიც ტექსტის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს; შეიძლება, საქმე ერთდროულად ეხებოდეს არა ერთ, არამედ რამდენიმე ეპიზოდსაც.

**საზოგადოდ, ტრაციული ანალიზი კვლევის მეთოდია, რომელიც საკითხთა მთელი წყებისგან შედგება,** მაგრამ ნებისმიერი ანალიზი ამავე დროს გულისხმობს სინთეზსაც, ანუ იმას, რისთვისაც კეთდება ეს ანალიზი: განზოგადებებსა და შედეგებს, რომლებიც დაკვირვების საფუძველზეა მიღებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ **ეპიზოდის გაანალიზებისას ამოსავალი ძირითადი ტექსტია და ყველა არგუმენტი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.**

აღსანიშნავია, რომ **ეპიზოდის ანალიზისას ერთობ ეფექტურია შემთხვევის განხილვის გეგმის შედგენა.** ასეთი გეგმის უპირატესობა ის არის, რომ იგი საშუალებას გვაძლევს, სწრაფად მოვახდინოთ პრობლემური შეკითხვების ფორმულირება, რომლის დეტალური და დამამტკიცებელი პასუხების შესაბამისად აიგება ეპიზოდის ანალიზის ძირითადი ნაწილი.

**უნდა გავითვალისიწინოთ, რომ:**

**1. არ არის აუცილებელი, ეპიზოდის ანალიზის დროს ვუპასუხოთ შემთხვევის განხილვისთვის დამახასიათებელი ძირითადი გეგმის ყველა პუნქტს.** აქ მთავარია, სწორად გავიგოთ ეპიზოდის ხასიათი და სათანადოდ შევარჩიოთ ანალიზისთვის საჭირო მასალები. ძირითადად ეს ყველაფერი დამოკიდებულია მკითხველზე, მის უნარზე, გამოყოს ეპიზოდში მთავარი, რის გარეშეც ანალიზი ვერ იქნება სრული; ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყურადღების ფაქტორს და სამუშაოსთვის მზადყოფნას.
**2. თხულების წერისას (ანდა ზეპირი სამუშაოს შესრულებისას), რომელიც მიმართულია ეპიზოდის ანალიზისკენ, უმჯობესია, ზოგადად, მოკლედ დავახასიათოთ ნარატივის ძირითადი შინაარსი.**
3. ვინაიდან ეპიზოდის ანალიზში უნდა აისახოს ნარატივის საერთო იდეური ჩანაფიქრი, აქ **მთავარი საშიშროებაა, არ მოხდეს ეპიზოდის ანალიზის ჩანაცვლება ეპიზოდის მოთხრობით.**

**III. მესამე ეტპაზე** ანუ ეპიზოდის ანალიზის ძირითადი ნაწილის განხილვის შემდეგ გამოგვაქვს **დასკვნა:**

* დაამტკიცეთ, რომ მოყვანილი ეპიზოდი ნარატივის კომპოზიციური ცენტრია (მოახდინეთ შეჯამება: გამოყავით კითხვაზე პასუხის ყველა შესაბამისი მახასიათებელი);

* რა როლს ასრულებს ეპიზოდი აღწერილ მოვლენებში? (მოახდინეთ შეჯამება აღნიშნული მითითებით);

* რა როლს ასრულებს აღნიშნული ეპიზოდი მთავარი პირების ცხოვრებაში და, საზოგადოდ, ძირითადი მოვლენების მიმდინარეობაში? (შეჯამება – კითხვაზე პასუხისას ყველა შესაბამისი მახასიათებლის გამოყოფა);

* ეპიზოდის მიხედვით, როგორ გამოიკვეთა პიროვნების/ფაქტის როლი ისტორიაში და ძირითადი მოვლენების მიმდინარეობაში? (შეჯამება – კითხვაზე პასუხის ყველა შესაბამისი მახასიათებლის დასახელება).

**შეჯამებისას აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ ამაზეც:** მოცემულ ეპიზოდში ყველაფერი ისე რომ არ ყოფილიყო, როგორც არის, როგორ აისახებოდა იგი მოვლენათა შემდგომ განვითრებაზე?

მაგალითად, განვიხილოთ ეპიზოდი **„ქართლის მოქცევის“** ისტორიიდან, რომელიც თითქმის ყველა კლასის ისტორიის სახელმძღვანელოშია შეტანილი (ამ ტიპის მასალის შესწავლისას მოსწავლეები ხშირად პრობლემეს აწყდებიან, რაც გამოწვეულია ნარატიული ტექსტის სიძველის გამო შესაბამისი მოტივაციის ნაკლებობით).

**ნარატივი: „ქართლის მოქცევის“ ტექსტი**

**ეპიზოდი: მირიანის ნადირობა თხოთის მთაზე**

იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა ნინო კაბადოკიელი აღსაზრდელად მისცა მოხუც ქალს, სარა ნიაფორს. სარა ქრისტიანულად ზრდიდა ქალწულს და უამბო, როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი ჩრდილოეთით მდებარე წარმართთა ქვეყანაში – საქართველოში. ამ დღიდან ნინო მხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და ქრისტეს პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა. მარიამმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე სახარება უფლისა იესო ქრისტესი და მე ვიქნები შენი მფარველიო. ამაზე ნეტარმა ნინომ უპასუხა: როგორ შემიძლია მე, სუსტ ქალს, ასეთი დიდი სამსახური გავუწიო ქრისტეს? ღვთისმშობელმა ხილული და უხილავი მტრისგან დასაცავად ვაზის ჯვარი მისცა. გამოღვიძებულ ნინოს ხელში ჯვარი ჰქონდა. ნინომ ბიძას გაუმჟღავნა საქართველოში საქადაგებლად წასვლის სურვილი. იუბენალმა გზა დაულოცა.

ნინო ეფესოში შეხვდა მეფის ასულ რიფსიმეს, მის გამზრდელ გაიანეს და ქრისტეს რჯულზე მოაქცია ისინი. ქრისტიანთა სასტიკმა მდევნელმა დიოკლეტიანემ გადაწყვიტა, ცოლად შეერთო რიფსიმე. ნინო, რიფსიმე, გაიანე და მათთან ერთად ორმოცდაათი ქალწული სომხითში გაიქცნენ. დიოკლეტიანეს ბრძანებით, სომეხთა მეფე თრდატმა იპოვა ქალები, აწამა რიფსიმე, გაიანე და ის ორმოცდაათი ქალწული. ვარდის ბუჩქებში დამალული ნინო გადარჩა. უფალი სხვა ღვაწლისთვის ამზადებდა მისი სიყვარულით ანთებულ ქალწულს.

წმინდა ნინო საქართველოსკენ წამოვიდა. ფარავნის ტბასთან გაიცნო მცხეთელი მწყემსები, თანამგზავრებიც იპოვა და ქალაქ ურბნისამდე მოაღწია. ქალწულმა იქ ერთი თვე დაყო, არმაზის კერპის თაყვანისცემად წამოსულ ქართველებს შეუერთდა და ჩავიდა მცხეთაში.

საშინელი სანახაობა დახვდა არმაზში ნინოს: მეფენი, მთავარნი და ყოველი ერი შიშით ძრწოდა კერპთა - გაცისა და გაის წინაშე. შეწუხდა ქალწული და იესო ქრისტეს შესთხოვა, მოეხედა ამ ერისთვის და ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა. ამ დროს დაბერა საშინელმა ქარმა, წამოვიდა სეტყვა და კერპები დაამსხვრია. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა.

წმინდა ნინო სამეფო ბაღში, მაყვლოვანში დასახლდა. ექვსი წელი აქ გაატარა, დღედაღამ ლოცულობდა, ხალხს კურნავდა. წმინდა ნინოს ლოცვით უშვილო ოჯახს ღმერთმა შვილი მიმადლა. გახარებულმა ცოლ-ქმარმა ქრისტე აღიარა და წმინდანს დაემოწაფა. თანდათან ნინოს ირგვლივ ქრისტეს რჯულის თაყვანისმცემელნი შეიკრიბნენ. ამ დროს ნანა დედოფალი სასიკვდილოდ დასნეულდა. ნანა დედოფალი ეახლა ნინოს, მან ილოცა, ჯვარი გადასახა და განკურნა დედოფალი. ამის შემდეგ ნანამ ქრისტე იწამა.

ქრისტიანთა მომრავლებით გაბრაზებული მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, მცხეთაში დაბრუნებისთანავე გასწორებოდა ყველას. ნადირობისას მოულოდნელად თხოთის მთაზე მზე დაბნელდა (ხშირი ბურუსი ჩამოწვა). მეფის ამალა დაიბნა, ვერ გაეგოთ, მეფეს რა მოუვიდა. მარტო დარჩენილი მირიანი დიდხანს ამაოდ სთხოვდა კერპებს შველას. როცა იმედი გადაუწყდა, ქრისტეს შეევედრა: „ღმერთო ნინოისაო, განმინათლე ღამე ესე და მაჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანის-ვსცე მას, აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა“. მაშინვე გამობრწყინდა მზე. გახარებულმა მირიანმა მადლობა შესწირა ქვეყნიერების შემოქმედს. მცხეთაში დაბრუნებულმა მეფემ ინახულა ნინო და მოინათლა. ეს მოხდა დაახლოებით 326 წელს.

სამეფო კარმა საეკლესიო პირები გამოითხოვა კონსტანტინე იმპერატორისგან. მტკვარი აკურთხეს და ხალხი მონათლეს. პირველი ტაძარი აშენდა იმ ადგილას, სადაც უფლის კვართი იყო დაკრძალული და ეწოდა სვეტიცხოველი, მის პირდაპირ კლდეზე კი აღიმართა დიდი ჯვარი. შემდეგ ნინო სხვა კუთხეებში წავიდა საქადაგებლად და ბევრი გააქრისტიანა, ბოლოს კი ბოდბეს დამკვიდრდა, სადაც გარდაიცვალა და დაკრძალეს. მის საფლავზე მირიან მეფემ წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო. მოციქულთასწორის ღვაწლით საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა. წმინდა ნინოს ცხოვრება მისივე მონათხრობიდან ჩაიწერეს სალომე უჯარმელმა და პეროჟავრი სივნიელმა.

ამ ისტორიიდან გამოვყოთ **ეპიზოდი – მირიან მეფის მიერ სანადიროდ წასვლა თხოთის მთაზე –** და იმისთვის, რომ ვაჩვენოთ, რა ადგილი უკავია ეპიზოდს მოვლენათა შემდგომ მსვლელობაში, გამოვკვეთოთ ცალკეული სცენები, რომლებსაც, გარდა ანალიზისა, სხვა მხრივ მნიშვნელობა არ ექნებოდა და **ავაგოთ ეპიზოდის კომპოზიციური სქემა:**

<u>ანალიზი:</u>

**წინა სცენა** – ნინო წამოვიდა იერუსალიმიდან. ჩამოვიდა ქართლში. ნანა დედოფალი დასნეულდა. მან გაიგო მცხეთაში მცხოვრები ნინოს შესახებ, რომელიც ხალხს ქრისტეს სახელით კურნავდა.

**მომდევნო სცენები:**

1. წარმართი დედოფალი ნინოს ეწვია. ნინომ თავისი რწმენით დედოფალი გაკნურნა.

2. ამის შემდეგ დედოფალმა თავადაც იწამა ქრისტე.

3. მირიან მეფემ გაიგო ნინოს მიერ ნანა დედოფლის მოქცევისა და ქრისტიანთა მორავლების შესახებ.

4. მეფე განრისხდა.

5. განრისხებული მირიანი თხოთის მთაზე სანადიროდ წაბრძანდა. დაიბარა, რომ უკან დაბრუნებისას მცხეთაში ნინო და მისი მიმდევრები არ დახვედროდნენ.

6. ნადირობისას ხშირი ბურუსი ჩამოწვა და მეფეს დაუბნელდა. მეფემ დახმარებისთვის წარმართ ღმერთებს მიმართა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

7. მეფემ შეამჩნია, რომ თითქოს მხოლოდ მას დაუბნელდა – ჯარი გაოცებული შეყურებდა მეფეს; იყო შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ მეფე ვერ ხედავდა.

8. მეფეს შეეშინდა და დახმარება ნინოს ღმერთს სთხოვა.

9. ბნელი გაიფანტა.

10. მირიან მეფემ ნინოს ღმერთს მადლობა შესწირა, იწმა იგი და მცხეთაში დაბრუნებულმა ნინო მოინახულა.

11. მეფე ქრისტეს მიმდევარი გახდა.

12. მირიანის თხოვნით ელჩები გააგზავნეს ბიზანტიის ქრისტიან იმპერატორთან და ხალხის მოსანათლად და მცხეთაში ეკლესიის ასაშენებლად საეკლესიო პირები გამოითხოვეს.

13. საეკლესიო პირები ქართლში ჩამოვიდნენ და ქართლის მოსახლეობა მტკვარში მონათლეს.

14. მცხეთასა და ქართლის სხვა კუთხეებში აიგო ქრისტიანული ტაძრები.

15. ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

**IV ეტაპი**: მოსწავლეები დაწვრილებით განიხილავენ თითოეულ სცენას და ახასიათებენ მოქმედ პირებსა თუ მოვლენებს; ყურადღებას ამახვილებენ სივრცეზე, დროზე, ზოგად ინტერიერზე.

**გასათვალისწინებელია, რომ წინა და მომდევნო ეპიზოდების საფუძველზე მოსწავლე ახდენს მხოლოდ იმ დეტალების კომენიტირებას, რომლებიც შეესაბამება ეპიზოდის სათაურს.**

**V - დასკვნა:** ნადირობის სცენამ ქართლის გაქრისტიანებაში დიდი როლი შეასრულა. ამ დროს მომხდარმა დაბნელებამ მეფე აიძულა, დაფიქრებულიყო და მოვლენებისთვის სხვა თვალით შეეხედა; მეფე მიხვდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა, ეს არ ჰგავდა ბუნებრივ მოვლენას (წყაროების მიხედვით, თითქოს მხოლოდ მისთვის დაბნელდა, რადგან ჯარი მზის დაბენელებით კი არ არის შეშფოთებული, არამედ მეფის დაბნეულობით); მეფე მიხვდა, რომ აქ მისთვის ნაცნობი ღმერთები ვერ უშველიდნენ, საამისო ძალა მათ „არ აღმოაჩნდათ“; მეფე ხვდება, რომ აქ „სხვა ძალა“ ამოქმედდა, ამიტომ დახმარება შესთხოვა მას, უცხო ღმერთს (ნინოს ღმერთს). ამით მეფემ მომხდარი შეაფასა როგორც „ღვთის სულის წამოწევა“ – ეს „მხოლოდ მისთვის“ დაბნელდა მზე, რათა მას ქრისტე აღმოეჩინა; მეფე მიხვდა, რომ იგი ღვთის რჩეული გახდა და ქრიტეს მიმდევრობა არა მასზე, არამედ თავად ქრისტეს ნებაზე აღმოჩნდა დამოკიდებული,

ამიტომ უკან დაბრუნებულმა სასწრაფოდ ინახულა ნინო, მოექცა და საეკლესიო პირებიც მოიწვია ბიზანტიიდან ხალხის მოსანათლად. ქართლის გაქრისტიანებით და ეკლესიის მშენებლობით მირიან მეფემ ღვთის ნება აღასრულა.

**VI - შეჯამება:** „ქართლის მოქცევის“ აღნიშნული **ეპიზოდის ანალიზით თვალსაჩინო ხდება,** რამ განაპირობა მეფისა და ქართლის მოსახლეობის რელიგიური არჩევანის პროვოცირება, რატომ მოიქცნენ ისინი ასე და არა სხვაგვარად.

ამ ტიპის დავალებები დაეხმარება მოსწავლეს, მიაგნოს ტექსტში ძირითად ნაწილს, „ტექსტის გასაღებს“, მთავარ დეტალებს და შესაფერის ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი, გაითვალისწინოს დეტალებისა და ეპიზოდების მნიშვნელობა ნებისმიერი საკითხის განხილვის დროს.

რამდენადაც ეპიზოდის ანალიზი **გულისხმობს მთელი ტექსტის კრიტიკულ გააზრებას, ერთობ ეფექტურია მოსწავლეებისთვის იმ ტიპის სავარჯიშოების შესრულება, რომლებიც მათ არა მარტო, საზოგადოდ,** კრიტიკულ აზროვნებაში, არამედ კონკრეტული ეპიზოდის ანალიზშიც დაეხმარება. ამ კუთხით წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სტრატეგია „მოზაიკა 1“, რომელიც ეპიზოდის ანალიზის ავტომატიზაციაშიც დაეხმარება მოსწავლეს და პარალელურად მათი კრიტიკული აზროვნების გააქტიურებასაც შეუწყობს ხელს.

**სტრატეგია „მოზაიკა 1“:**

კლასი იყოფა ქვეჯგუფებად. მაგალითად, კლასში, სადაც 20 მოსწავლეა, გვექნება ხუთი ქვეჯგუფი. თითოეულ ჯგუფში შემავალი მოსწავლეები უნდა დავნომროთ შემდეგნაირად: N 1, N 2, N 3, N 4. ეს შეიძლება დაახლოებით ასე წარმოვიდგინოთ:




ამის შემდეგ გამოვიწვევთ ყოველ N 1-ს, ყოველ N2-ს, N3-ს, N4-ს და ამგვარად კლასში აღმოჩნდება ხუთი N1, ხუთი N2, ხუთი N3 და ხუთი N4. ასე მივიღებთ ჯგუფების ახალ შემადგენლობას, რომელსაც ასეთი სახე ექნება:




მასწავლებელს ახალი მასალა წინასწარ აქვს ოთხ ნაწილად გაყოფილი, თითოეულ ჯგუფს მონიშნული აქვს მისთვის განკუთვნილი ნაწილი. მასწავლებელი ახდენს პროვოცირებას: აცნობს დავალებას – გაეცნონ ტექსტს ღრმად და საფუძვლიანად, იმდენად

საფუძვლიანად, რომ როცა თავ-თავიანთ ადგილას (პირველად შექმნილ ჯგუფებში) დაბრუნდებიან, თითოეულმა მათგანმა შეძლოს მოუთხროს, აუხსნას მეგობრებს ტექსტის მის მიერ მომზადებული ნაწილი. აი, აქ **მასწავლებელი „ამატებს“ საკუთარ სტრატეგიას: თითოეულ ჯგუფს სთავაზობს ეპიზოდის გაანალიზებას - მოიფიქრონ და ჩამოაყალიბონ სავარაუდო შეკითხვები ეპიზოდის ირგვლივ**: „რა კითხვას დასვამდი შინაარსის უკეთ გასაგებად?“ „რისი გაგების სურვილი გაგიჩნდათ ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ?“ **თითოეული ჯგუფი „თავისი" ეპიზოდისთვის ამზადებს კითხვებს, რომლებსაც თანაკლასელებს დაუსვამს ძველ ჯგუფში დაბრუნების შემდეგ.**

კითხვებზე პასუხის გაცემა ხელს შეუწყობს ცოდნის შეფასებას, ანუ განსაზღვრავს ტექსტის გაგების ხარისხს. აქვე დაიბადება შემეცნებითი ხასიათის შეკითხვები, რომლებზეც პასუხის პოვნას შეეცდება მთელი კლასი ერთობლივი ძალისხმევითა და მასწავლებლის დახმარებით. ძიების პროცესმა, შესაძლოა, ოჯახურ თუ სასკოლო ბიბლიოთეკებშიც კი გადაინაცვლოს.

ეპიზოდის ანალიზისა და, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების თავისებურებად მიგვაჩნია ის, რომ იგი ასტიმულირებს შემეცნებითი ინტერესების განვითარებას, მოსწავლე აზროვნებს, უჩნდება ინტერესი, ახლის გაგების სურვილი, საკუთარი აზრის გაზიარებისა და სხვისის მოსმენის, პატივისცემის უნარი. ის მსჯელობს და მისი მსჯელობა არგუმენტირებულია, ამყარებს ლოგიკურ კავშირებს მოვლენებს შორის, აანალიზებს, სვამს შეკითხვებს, ეძებს პასუხებს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები. ამრიგად, ეპიზოდის ანალიზი წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სასწავლო პრაქტიკაში.